საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი

2022

შრომის ბაზრის
საინფორმაციო სისტემა
დაგეგმე მომავალი

სარჩევი

შესავალი 5

შრომის ბაზრის სტატისტიკა 5

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 6

უმუშევრობა 6

დასაქმება 10

ხელფასი 12

მიგრაცია 14

კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში 16

დასაქმება სექტორულ ჭრილში 17

მრეწველობა 18

მშენებლობა 19

ვაჭრობა 21

სოფლის მეურნეობა 21

ტრანსპორტირება და დასაწყობება 22

უძრავი ქონება 24

სასტუმროები და რესტორნები 24

შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვა 26

HR.GE-ზე 2021 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა 37

2021 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი 54

დასკვნა 59

რეკომენდაციები 62

დიაგრამა 1 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა და დონე 6
დიაგრამა 2 უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა..... 7
დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით..... 7
დიაგრამა 4 უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით..... 8
დიაგრამა 5 უმუშევრობის დონე ქალაქად და სოფლად..... 9
დიაგრამა 6 უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით 9
დიაგრამა 7 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე..... 10
დიაგრამა 8 დასაქმების სტრუქტურა 11
დიაგრამა 9 დასაქმების დონე სქესის მიხედვით 11
დიაგრამა 10 დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი) და დონე (%) სექტორების მიხედვით 12
დიაგრამა 11 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით..... 13
დიაგრამა 12 მედიანური და საშუალო თვიური ხელფასი..... 14
დიაგრამა 13 მიგრაციული სალდო..... 15
დიაგრამა 14 დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში..... 16
დიაგრამა 15 დასაქმებულთა რაოდენობა და ერთი დასაქმებულის დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით..... 17
დიაგრამა 16 დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით) 18
დიაგრამა 17 შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2021 წ..... 19
დიაგრამა 18 მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით 20
დიაგრამა 19 შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში, ₾ 20
დიაგრამა 20 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში 21
დიაგრამა 21 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი სოფლის მეურნეობაში, ₾..... 22
დიაგრამა 22 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით 22
დიაგრამა 23 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2021)..... 23
დიაგრამა 24 უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი, ₾..... 24
დიაგრამა 25 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით 25

დიაგრამა 26 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, ₾ 25
დიაგრამა 27 HR.ge-ზე 2020-2021 წლებში გამოქვეყნებული ვაკანსიების შედარება ... 37
დიაგრამა 28 HR.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2021 წ) 38
დიაგრამა 29 2021 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულთა რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით 54
დიაგრამა 30 შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შესული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება 55
დიაგრამა 31 სისტემაში შემოსული ვაკანსიები რეგიონების მიხედვით (2021) 55
დიაგრამა 32 სისტემაში შემოსული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2021) 55
დიაგრამა 33 სისტემაში შემოსულ ვაკანსიებზე მოთხოვნილი განათლების დონეები (2021) 56
დიაგრამა 34 სისტემაში შემოსული ვაკანსიები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით (2021) 57
დიაგრამა 35 დასაქმებულთა განაწილება პროგრამებისა და სერვისების მიხედვით (2021) 58

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს, რაც ამასთანავე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის კუთხით.

წინამდებარე ანგარიში აანალიზებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. იგი შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამასთან, ანგარიში მოიცავს როგორც კერძო დასაქმების სააგენტოს (hr.ge) მონაცემთა ანალიზს, ასევე სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ანალიზს. ანგარიში ასევე მიმოიხილავს საქართველოს შრომის ბაზართან დაკავშირებით არსებულ კვლევებს. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომლშიც მოცემულია საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.

შრომის ბაზრის სტატისტიკა

2020 წლიდან საქართველო გადავიდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ახალი სტანდარტებით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების გამოქვეყნებაზე. ახალი სტანდარტის დანერგვა ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას და სამუშაო ძალის დამატებითი ინდიკატორების გაანგარიშებას. კერძოდ, ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად (50%-ზე მეტი) საკუთარი მოხმარებისათვის. აღნიშნული სტატუსის მქონე პირები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გადაკვალიფიცირდნენ ან უმუშევართა კატეგორიაში, ან მოსახლეობაში სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა

სამუშაოს დასაწყებად. ამასთანავე, განხორციელდა წინა წლების შესაბამისი მონაცემების გადაანგარიშება და განახლება, დაწყებული 2010 წლიდან.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა

სამუშაო ძალის მიწოდების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის კუთხით არსებული დინამიკა. კერძოდ, დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში, კლებადობით ხასიათდება შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს წინა წელთან შედარებით მცირედით, მაგრამ გაიზარდა (0,6%) სამუშაო ძალის რიცხოვნობა (15 + მოსახლეობა), 2021 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (15 + მოსახლეობა) რიცხოვნობამ 1,533.6 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის (15+ მოსახლეობა) 50.9%-ია..

დიაგრამა 1 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა და დონე



წყარო: საქსტატი

უმუშევრობა

2021 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 20.6% შეადგინა (უმუშევართა რაოდენობა - 316.2 ათასი კაცი), რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით 2.1%-ით მეტია.

დიაგრამა 2 უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა



წყარო: საქსტატი

უმუშევრობის მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე მამაკაცებში აღემატება ქალებისას. ამის ერთ ერთი გამომწვევი მიზეზი სამუშაო ძალაში მამაკაცებისა და ქალების არათანაბარი ჩართულობაა (მამაკაცები - 63%, ქალები - 40.5%). 2021 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევრობა გაიზარდა როგორც ქალებში, ასევე კაცებში. კერძოდ, 2021 წელს ქალებში უმუშევრობის დონემ 17.8% შეადგინა (116 ათასი უმუშევარი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.6%-ით აღემატება. ხოლო კაცებში არსებული უმუშევრობის დონემ 22.7% (200.2 უმუშევარი) შეადგინა. 2021 წლის მდგომარეობით, კაცებში უმუშევრობის დონე, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2.5 პროცენტული პუნქტით მაღალია.

დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

უმუშევრობის სტატისტიკა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გვიჩვენებს, რომ საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ახალგაზრდების დასაქმება რჩება. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია 15-19 და 20-24 ასაკობრივ ჯგუფებში. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და სწავლის დასრულების შემდეგ აწყდებიან იმ რეალობას, რომ ერთი მხრივ შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე; მეორე მხრივ, მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალგაზრდებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით სჭირდებათ მეტი დრო სასურველი სამუშაოს მოსაძიებლად.

დიაგრამა 4 უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე გაიზარდა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. უმუშევრობის დონე გასაკუთრებით გაიზარდა 15-19 (8,3%), 25-29 (4,6%) და 30-34 (4,7%) ასაკობრივ ჯგუფებში.

უმუშევრობის დონე შემცირდა მხოლოდ ორ 35-39 (- 0,7%) და 65+ (-1,4%) ასაკობრივ ჯგუფში.

უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენცია შეინიშნება **ქალაქად და სოფლად.** 2021 წელს უმუშევრობის დონემ საქალაქო დასახლებებში 22.2% შეადგინა, რაც 1.9%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. მოცემულ წელს სასოფლო დასახლებებში უმუშევრობის დონემ 18,2% შეადგინა, რაც 2.4%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.

დიაგრამა 5 უმუშევრობის დონე ქალაქად და სოფლად



წყარო: საქსტატი

საკმაოდ დიდია სხვაობა რეგიონების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების მხრივ, რაც აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და შრომით მიგრაციაზე. 2021 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 84% (1,043.4 მილიონი აშშ დოლარი) თბილისზე მოდის. ასევე, ქვეყნის მასშტაბით მთლიანი დამატებული ღირებულების ნახევარი თბილისში იქმნება. შესაბამისად, რეგიონების მიხედვით ეკონომიკური აქტივობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არათანაბარზომიერი განაწილება გავლენას ახდენს შიდა მიგრაციაზე, სამუშაო ძალის მობილობა დედაქალაქისკენ არის მიმართული. თბილისში სამუშაო ძალის მაღალი კონცენტრირება კი თავის მხრივ განაპირობებს უმუშევრობის მაღალ დონეს.

დიაგრამა 6 უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი

2021 წელს თბილისში უმუშევრობის დონემ 23.8% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 3.7%-ით მეტია.

2021 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე შემცირდა მცხეთა-მთიანეთში (-3.6%), რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა (-1.9%) და კახეთში (-1.7%), ხოლო ზრდა დაფიქსირდა თბილისში (3,7%), სამცხე-ჯავახეთსა (3.5%) და იმერეთში (3.4%).

დასაქმება

დასაქმების მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2021 წელს წინა წელთან შედარებით დასაქმებულთა რიცხვი 2%-ით შემცირდა და 1,217.4 ათასი ადამიანი (53% კაცი, 47% ქალი) შეადგინა. აღნიშნული შესაძლოა უკავშირდებოდეს გაზრდილი მიგრაციის შედეგად მოსახლეობის შემცირებას. საკუთრების ფორმის მიხედვით დასაქმებულთა უმრავლესობა არასახელმწიფო სექტორზე მოდის. 2021 წელს არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა 75% (916 ათასი კაცი) შეადგინა.

დიაგრამა 7 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე



წყარო: საქსტატი

სამუშაო ძალის გამოკვლევაში მეთოდოლოგიის ცვლილებამ გავლენა იქონია სამუშაო ძალის მაჩვენებლების გამოთვლაზე. კერძოდ, შემცირდა დასაქმების მაჩვენებელი და ამის პარალელურად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, რადგან შინამეურნეობებში ადამიანები, რომლებიც ეწეოდნენ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის შრომას, დასაქმებულის სტატუსიდან გადაკვალიფიცირდნენ უმუშევრად.

დიაგრამა 8 დასაქმების სტრუქტურა



წყარო: საქსტატი

კაცებში დასაქმების დონე საგრძნობლად აღემატება ქალებში დასაქმების დონეს. 2021 წელს წინა წელთან შედარებით კაცებში დასაქმების დონე 0,9% პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა 48.6% (681 ათასი კაცი), ხოლო ქალებში დასაქმების დონე 0,6% პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა 33.3% (536.4 ათასი).

დიაგრამა 9 დასაქმების დონე სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

დასაქმების მხრივ წამყვან დარგებს წარმოადგენს: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება და მრეწველობა, რომელთა ხვედრითი წილი აღემატება ორნიშნა პროცენტულ მაჩვენებელს. 2021 წელს დასაქმების დონე თითქმის ყველა სექტორში შემცირდა: სოფლის მეურნეობაში 6,5% პროცენტული პუნქტით და შეადგინა 18,9% (230.3 ათასი დასაქმებული); ვაჭრობაში 4% და მრეწველობაში 3% პროცენტული პუნქტით და შეადგინა შესაბამისად 14.8% (180.7 ათასი) და 11.3% (137.2 ათასი).

საგულისხმოა, რომ დასაქმების დონე გაიზარდა მშენებლობისა (11%) და ჯანდაცვის სექტორებში (7%).

დიაგრამა 10 დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი) და დონე (%) სექტორების მიხედვით



წყარო: საქსტატი

ხელფასი

2021 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წინა წელთან შედარებით 9.5%-ით (113.5 ლარით) გაიზარდა და 1 304.5 ლარი შეადგინა. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ხელფასების ზრდა სექტორების უმრავლესობაში შეინიშნებოდა. ყველაზე მაღალი ზრდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში (+20.7%) დაფიქსირდა, რომლის შედეგადაც 2021 წელს საშუალო ხელფასმა აღნიშულ სექტორში 1 427.5 ლარი შეადგინა.

საქმიანობების სახეების მიხედვით მაღალია შრომის ანაზღაურება შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში:

- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა - 2 368.1 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9.8 პროცენტით);

- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 2 075.3 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 12.0%-ით);
- ინფორმაცია და კომუნიკაცია - 2 030.9 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7.7%-ით).

2021 წელს ქალების საშუალო თვიური ხელფასი 10,8%-ით გაიზარდა და 1 055.5 ლარი შეადგინა, ხოლო კაცების 9,2%-ით და 1 537.9 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების საშუალო თვიური ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების საშუალო თვიურ ხელფასს.

დიაგრამა 11 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

2021 წელს სახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 291.4 ლარით ნაკლები იყო არასახელმწიფო სექტორში დაქირავებულებთან შედარებით. ამასთან, წინა წელთან შედარებით სახელმწიფო სექტორში ხელფასი 9.1%-ით, ხოლო არასახელმწიფო სექტორში 9.6%-ით გაიზარდა და შესაბამისად 1 117.2 და 1 408.7 ლარი შეადგინა.

2021 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი[1] გასულ წელთან შედარებით 11.2%-ით გაიზარდა და 900 ლარი შეადგინა, რაც საშუალო თვიურ ხელფასზე 31.0%-ით ნაკლებია.

[1] სტატისტიკურ მონაცემებზე მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) იწყებს შრომის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლის, დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასის წარმოებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით, 2021 წელს, შედარებით მაღალი მედიანური ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

- ინფორმაცია და კომუნიკაცია - 1 509 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15.9%-ით);
- სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება - 1 386 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8.6%-ით);
- ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 1298 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 10.7%-ით);
- მშენებლობა - 1 276 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6.8%-ით);

დიაგრამა 12 მედიანური და საშუალო თვიური ხელფასი



წყარო: საქსტატი

მიგრაცია

ბოლო წლებში, 2020 წლის გამოკლებით, საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული სალდოს მაჩვენებელი უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წელს დადებითი მიგრაციული სალდო შესაძლოა აიხსნას მსოფლიოში პანდემიის შედეგად გამოწვეული გლობალური შეზღუდვებით, რამაც ერთი მხრივ გაართულა მოქალაქეების გადაადგილება, ხოლო მეორე მხრივ განაპირობა ქვეყნიდან გასული მოსახლეობის უკან დაბრუნება.

თუმცა, 2021 წელს მიგრაციული სალდო კვლავ უარყოფით ნიშნულს დაუბრუნდა და -25,966 შეადგინა. შესაბამისად, ამ პერიოდში ემიგრანტთა რიცხოვნობა 99,974-ს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35%-ით მეტია, ხოლო იმიგრანტთა რაოდენობა 74,008-ს (18%-ით ნაკლები ვიდრე 2020 წელს).

დიაგრამა 13 მიგრაციული სალდო



წყარო: საქსტატი

კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში

კერძო სექტორის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი აქტივობების განხორციელება, რაც მაქსიმალურად შეამცირებს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ შეუსაბამობას.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში 2009 წლიდან მოყოლებული ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. გამონაკლისი მხოლოდ 2020 წელია, როდესაც გლობალური პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ბიზნეს სექტორისთვის საკმაოდ რთული და გამოწვევებით სავსე გარემო შექმნა. დასაქმების მაჩვენებელი კვლავ ზრდად ტენდენციას დაუბრუნდა 2021 წელს, როდესაც ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ 744.2 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5.7%-ით მეტია.

დიაგრამა 14 დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში



წყარო: საქსტატი

საკმაოდ დიდია განსხვავება გეოგრაფიულ ჭრილში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა კუთხით. 2021 წელს სხვა წლების მსგავსად დასაქმებულთა უმრავლესობა (62%) სწორედ დედაქალაქზე მოდის. მაღალია ასევე აჭარასა (10%) და იმერეთში (8%) დასაქმებულთა ხვედრითი წილი. რაც შეეხება, დასაქმებულთა განაწილებას საწარმოთა ზომების მიხედვით: 42% - დასაქმებულია მცირე ზომის საწარმოებში, 38% - მსხვილ, ხოლო 20% - საშუალო ზომის საწარმოებში.

მზარდია ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურებაც. 2021 წელს საშუალო ხელფასმა 1 347.6 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით მეტია. ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურება პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების სექტორშია - 2 346.2 ლარი.

დასაქმება სექტორულ ჭრილში

2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ბიზნეს სექტორში დასაქმების სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ვაჭრობის (29%, 212.9 ათასი დასაქმებული), მრეწველობისა (18%, 135.9 ათასი) და ჯანდაცვის (10%, 77 ათასი) სექტორები.

წინა წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა. ყველაზე მაღალი ზრდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში დაფიქსირდა - 24.8%, ასევე ორნიშნა პროცენტული ზრდით გამოირჩევიან ტრანსპორტირებისა და დასაწყობების (10.1%) სექტორი და სხვა სახის მომსახურების სექტორი (10.1%).

დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა (2,9%) მხოლოდ მშენებლობის სექტორში.

დიაგრამა 15 დასაქმებულთა რაოდენობა და ერთი დასაქმებულის დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით



წყარო: საქსტატი

ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ხელოვნება, გართობა, დასვენების სექტორში - 65.5 ათასი ლარი (წინა წელთან შედარებით გაზრდილია 23%-ით). ასევე გამორჩეულია ინფორმაციისა და კომუნიკაციისა - 54.7 ათასი ლარი (წინა წელთან შედარებით გაზრდილია 10%-ით) და მშენებლობის სექტორები - 50.6 ათასი ლარი (წინა წელთან შედარებით შემცირდა 4%-ით).

გასულ წლებში ყველაზე დაბალი მწარმოებლურობით გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობის სექტორი. აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილია. კერძოდ, 2021 წელს დამატებულმა ღირებულებამ ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობის სექტორში 19.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 54.4%-ით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულება თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალია ზრდა შემდეგ სექტორებში:

- სასტუმროები და რესტორნები - 14.7ათასი ლარი (გაიზარდა 39%-ით);
- მრეწველობა - 36.2 ათასი ლარი (გაიზარდა 38%-ით);
- ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 17.2 ათასი ლარი (გაიზარდა 38%-ით);
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 16.4 ათასი ლარი (გაიზარდა 31%-ით).

მრეწველობა

2021 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 135 883 ადამიანი შეადგინა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის დასაქმების 18,3%-ს შეადგენს. 2021 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 4.7%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 16 დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით)



წყარო: საქსტატი

2021 წლის მონაცემების მიხედვით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთაგან 51% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 21.2% - საშუალო, ხოლო 27.9% - მცირე ზომის საწარმოებზე. რაც შეეხება დასაქმებულთა განაწილებას რეგიონების მიხედვით: 44.1% - თბილისზე მოდის, მას მოჰყვება ქვემო ქართლი - 13.3% და იმერეთი 12.6%.

მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: უმრავლესობა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორშია დასაქმებული (68.7%), შემდეგ მოდის ენერგეტიკა (11.6%), წყალმომარაგება (10.9%) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (8.9%).

დიაგრამა 17 შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2021 წ.



წყარო: საქსტატი

2021 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 1,323.5 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11%-ით აღემატება. აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორის საშუალო ანაზღაურება მთლიანი ბიზნეს სექტორის საშუალო ანაზღაურებას 1.8%-ით ჩამორჩება.

დარგების მიხედვით ყველაზე მაღალი ანაზღაურება სამთომოპოვებით მრეწველობაშია - 1,741.6 ლარი; შემდეგ მოდის ენერგეტიკა - 1,620 ლარი; დამამუშავებელი მრეწველობა - 1,253 ლარი და წყალმომარაგება - 1,094.3 ლარი.

მშენებლობა

2021 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებული იყო 64,258 ადამიანი, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.6%-ია.

2021 წელს წინა წელთან შედარებით მშენებლობის სექტორში 2.9%-ით შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში მშენებლობის სექტორი ერთადერთია, სადაც წინა წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირებულია.

ბოლო წლებში მშენებლობის სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა 2021 წელსაც: 48.5% მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული, 27.7% - საშუალო, ხოლო 23.8% - მსხვილი ზომის საწარმოებში.

დიაგრამა 18 მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით



წყარო: საქსტატი

მშენებლობის სექტორში საშუალო თვიური ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. 2021 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 1,807 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.7%-ით მეტია. აქვე, აღსანიშნავია, რომ იგი ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 34.1%-ით აღემატება.

დიაგრამა 19 შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში, ₾



წყარო: საქსტატი

ვაჭრობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში ყველაზე მაღალი წილით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა. 2021 წლის მონაცემებით, ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 212 942 ათასი ადამიანი შეადგინა (8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით), რაც კერძო სექტორში დასაქმებულთა 28.6%-ია.

დიაგრამა 20 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში



წყარო: საქსტატი

ბოლო წლებში ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება მუდმივად მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. 2021 წელს, წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 11%-ით გაიზარდა და 1,145.8 ლარი შეადგინა, თუმცა მაინც ჩამორჩება ბიზნეს სექტორში არსებულ საშუალო მაჩვენებელს (15%-ით ნაკლები).

სოფლის მეურნეობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი ყველაზე მცირეა. 2021 წელს დასაქმებული იყო 13 014 ადამიანი, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 1.7%-ია.

2021 წელს გასულ წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა სოფლის მეურნეობის სექტორში 5.9%-ით გაიზარდა.

ბიზნეს სექტორის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. 2021 წელს საშუალო თვიურმა ხელფასმა 954.2 ლარი შეადგინა, რაც ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 29%-ით ნაკლებია.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2021 წელს საშუალო ხელფასი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, 16.7%-ით აღემატება.

დიაგრამა 21 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი სოფლის მეურნეობაში, ₾



წყარო: საქსტატი

ტრანსპორტირება და დასაწყობება

2021 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობამ 62,592 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 10.1%-ით აღემატება. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.4%-ია.

დიაგრამა 22 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: საქსტატი

2021 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა 47.6% მუშაობდა მსხვილი ზომის საწარმოებში, 40.9% - მცირე ზომის, ხოლო 11.5% - საშუალო ზომის საწარმოებში.

დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: თბილისი - 59.3%; აჭარა - 12.5%, სამეგრელო ზემო სვანეთი - 11.9%. სხვა დანარჩენი რეგიონების ცალკე აღებული წილი არ აღემატება 5%-ს.

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი სახმელეთო ტრანსპორტზე მოდის (67.1%). მას მოჰყვება დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები (24.7%), საფოსტო და საკურიერო მომსახურება (6.8%). წყლის ტრანსპორტისა და საჰაერო ტრანსპორტის წილი 2%-ზე დაბალია.

დიაგრამა 23 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2021)



წყარო: საქსტატი

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 1,479.3 ლარია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4%-ით აღემატება. აქვე, აღსანიშნავია, რომ სექტორის საშუალო თვიური ანაზღაურება ზოგადად ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 10%-ით მეტია.

2021 წელს ბიზნეს სექტორში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი სწორედ ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სფეროში დაფიქსირდა, კონკრეტულად წყლის ტრანსპორტის დარგში - 4,312.1 ლარი და საჰაერო ტრანსპორტის დარგში - 4,292.8 ლარი.

უძრავი ქონება

2021 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 18,860 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 4%-ით მეტია. მისი წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 2.5%-ია.

2021 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1,432.5 ლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 21%-ით აღემატება, ხოლო ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს კი 6%-ით.

დიაგრამა 24 უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი, ₾



წყარო: საქსტატი

სასტუმროები და რესტორნები

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგია. ბოლო წლების განმავლობაში სექტორში დასაქმების მაჩვენებლები მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, 2020 წელს პანდემიისგან გამოწვეულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე დიდი გავლენა სწორედ სტუმარ-მასპინძლობის სექტორზე იქონია. 2021 წელს სექტორის მთავარ პრობლემად კვლავ კადრების გადინება რჩებოდა.

2021 წელს სტუმარ-მასპინძლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 33 526 პირი შეადგინა, რაც მართალია წინა წლის პერიოდთან შედარებით 5%-ით მეტია, თუმცა კვლავ საგრძნობლად ჩამორჩება პანდემიამდელ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორში დასაქმების 4.5%.

სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დასაქმებულთა უდიდესი წილი მცირე ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულნი - 55.9%, შემდეგ მოდის მსხვილი ზომის საწარმოები - 23.1% და ბოლოს საშუალო ზომის საწარმოები - 21%.

დიაგრამა 25 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: საქსტატი

აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი აქტივობა ძირითადად ორ რეგიონზე მოდის. დასაქმების ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა თბილისი (56%), მას მოჰყვება აჭარა - 16%, ხოლო სხვა რეგიონების ცალკე აღებული ხვედრითი წილი არ აღემატება 5%-ს.

2021 წელს სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 35%-ით ჩამორჩა და შეადგინა 857.6 ლარი. სასტუმროებში საშუალო თვიური ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება რესტორნებში საშუალო თვიურ ხელფასს (სასტუმროები - 1,082.1 ლარი, რესტორნები - 732.2 ლარი).

დიაგრამა 26 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, ₾



წყარო: საქსტატი

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების და პროექტების გათვალისწინებით ქვეყანაში დასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მოსალოდნელი:

- **ენერგეტიკა** საქართველოს ეკონომიკისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს. სექტორი ყოველწლიურად მზარდია, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, გამოშვების და ბრუნვის მოცულობისა და სხვა სტატისტიკური მონაცემების ზრდით გამოიხატება. სექტორში არაერთი პროექტი და აქტივობაა დაგეგმილი მომავალ წლებშიც, რაც დასაქმების მაჩვენებელების ზრდის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, საქართველოში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და მიღებული კანონმდებლობის შედეგად, მოთხოვნა წარმოიშობა შემდეგ პროფესიებზე:
    - ენერგომენეჯერი/ ენერგომენეჯმენტი განმახორციელებელი პირი (ფიზიკური ან იურიდიული პირი);
    - ენერგომომსახურების მიმწოდებელი (საბოლოო მომხმარებლისთვის ან ენერგომომსახურების მიმღების საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული ობიექტისთვის ენერგომომსახურების ან ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი სხვა ღონისძიებების მიმწოდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი);
    - სერტიფიცირებული ენერგოაუდიტორი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელსაც აკრედიტირებული ორგანო მიანიჭებს სერტიფიკატს როგორც მრეწველობის სექტორში ასევე, მშენებლობის სექტორში;
    - სპეციალისტები აღრიცხვის ჭკვიანი სისტემის დანერგვისთვის;
    - შენობების ენერგოფექტურობის სერტიფიცირების განმახორციელებელი პირი;
    - შენობაში გათბობის ან/და გაგრილების და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტორი (სერტიფიცირებული დამოუკიდებელი ექსპერტი);
    - პირი რომელიც კომპეტენტური იქნება ენერგოეფექტურობის მოთხოვნების მიხედვით შენობების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების სწორი შერჩევის, მონტაჟის, რეგულირებისა და მართვის საკითებში.
    - მონიტორინგის განმახორციელებელი პირები:
    - დამოუკიდებელი ექსპერტისა და ენერგოაუდიტორის საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებლები;
    - ენერგოდანაზოგების მონიტორინგისა და ვერიფიკაციის განმახორციელებლები.

- რაც შეეხება განახლებადი ენერგიის შესახებ კანონს, აღნიშნულიდან გამომდინარე უკვე დამტკიცებულია, როგორც მინიმალური მოთხოვნები, ასევე გადამზადების პროგრამები შემდეგი მიმართულებით:
    - მცირემასშტაბიანი ბიომასის ბოილერებისა და ღუმლების მემონტაჟე;
    - მზის ფოტოელექტრული სისტემების მემონტაჟე;
    - მზის თერმული სისტემების მემონტაჟე;
    - ზედაპირული გეოთერმული სისტემებისა და თბური ტუმბოების მემონტაჟე.
- საქართველოში დაგეგმილი მზისა და ქარის ელექტროსადგურების განვითარების გეგმის ფარგლებში 2023 წლიდან მშენებლობისა და შემდგომ, ექსპლუატაციის პროცესში დასაქმდება დაახლოებით 300 ადამიანი, საიდანაც 250 ადამიანი დასაქმდებასამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს, ხოლო 50 - მუდმივად იქნება დასაქმებული პროექტის ოპერირების პერიოდში (პროექტების საშუალო ოპერირების პერიოდი შეადგენს 25 წელს). პროექტების განხორციელების ეტაპზე განსაკუთრებული მოთხოვნა წარმოიშვება ტექნიკურ პერსონალზე და აქედან გამომდინარე, მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით პროექტების განმახორციელებელი ინვესტორების მიერ იგეგმება ადგილობრივი სპეციალისტებისთვის სასწავლო პროგრამების შექმნა, შემდგომში მათი დასაქმების მიზნით;
- გარდა ამისა საქართველოში იგეგმება ენერგეტიკული ბირჟის განვითარება, რომლის ფარგლებშიც ჯერ კიდევ 2020 წლის პირველი ივლისიდან ხორციელდება სიმულაციური დღით ადრე ბაზრის ოპერირება საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის მიერ. 2022 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა დღით ადრე და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი, ხოლო 2022 წლის პირველი დეკემბრიდან დაგეგმილია დღიური ბაზრის ამოქმედება, რასთან დაკავშირებითაც, სავარაუდოდ, მოიმატებს მოთხოვნა სავაჭრო წარმომადგენლებზე (ე. წ. "ტრეიდერები");
- წყალმომარაგების ნაწილში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და მოსალოდნელი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, პროფესია რომელზე მოთხოვნაც შესაძლოა წარმოიშვას საშუალო ვადიან პერიოდში, არის სკადას (SCADA - ზედამხედველობის კონტროლისა და მონაცემთა შეგროვება) ოპერატორი. SCADA - პასუხისმგებელია ყველა საკომუნიკაციო არხის გამართულ ფუნქციონირებასა და ექსპლუატაციაზე. SCADA სისტემები გამოიყენება პროცესების ავტომატიზაციისთვის, შეუძლიათ დისტანციური მოწყობილობიდან მომდინარე მონაცემების შეგროვება და მონიტორინგი;
- **კავშირგაბმულობის სექტორში** ,,საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი

განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული სტრატეგიის აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს მისი ერთ-ერთი სტრატეგიულ მიზნის ინვესტიციების მოზიდვის მიღწევას და ქვეყანაში ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების განვითარებას, 5G სერვისების პილოტირებას, მონაცემთა გაცვლის ცენტრებისა და ინტერნეტის გაცვლის წერტილების (IXP) ფორმირებას, ციფრული უნარების განვითარებას და სხვა, რაც თავის მხრივ აისახება ციფრული ეკოსისტემის განვითარებაში. აღნიშნული კი დაეხმარება არსებულ ან ახალ პროფესიებზე მოთხოვნის ზრდას როგორც ICT (მაგ. ახალი თაობის, მათ შორის 5G ქსელების ინჟინერი/პროგრამისტი, მონაცემთა ცენტების ინჟინერი/პროგრამისტი, AI პროგრამისტი და სხვა), ასევე, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას;

- საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სექტორია **ტრანსპორტირება და დასაწყობება**, რაც ყოველწლიურად მზარდი გადაზიდვების მაჩვენებლებით დასტურდება. სფეროს განვითარების ტემპის შესანარჩუნებლად აუცილებელია კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობაც. წინასწარ განსაზღვრული და იდენტიფიცირებული პროფესიები კი იძლევა სწორი და მიზნობრივი გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას. ტრანსპორტისა და ლოგისტიკის კუთხით დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შემთხვევაში შრომის ბაზარზე გაიზრდება მოთხოვნა ისეთ პროფესიებზე, როგორებიცაა: ნავსადგურში მომუშავე პერსონალი, საზღვაო/ჰიდრო ინჟინერი, საზღვაო ეკონომიკის, ფინანსებისა და დაზღვევის სპეციალისტი, საზღვაო ბიზნესის მართვის სპეციალისტი, ჰიდროგრაფიის სპეციალისტი, მძღოლი (საავტომობილო გადაზიდვა/გადაყვანისა და სპეცტექნიკის მართვისათვის) და ლოგისტიკის სპეციალისტი;
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი არაერთი მასშტაბური პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების **მშენებლობისა** თუ მართვისათვის საჭიროა ისეთი პროფესიები/სპეციალობები, როგორებიცაა: გზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობა, ელექტრო ინჟინერია (განათების სპეციალისტები), ავტომატიზებული და ინფორმაციული მართვის სისტემები, პროგრამირება და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, საგზაო უსაფრთხოება.
    - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური ფონდის მიერ დაგეგმილი და მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მოითხოვს ისეთ პროფესიებს/სპეციალობებს, როგორებიცაა: კვალიფიციური მშენებელი-ინჟინრები (გზებისა და სამოქალაქო მიმართულებით), არქიტექტორები, გათბობა-ვენტილაციის

სპეციალისტები, ენერგოეფექტურობის ინჟინრები, შრომის უსაფრთხოების ინჟინრები და ინფრასტრუქტურული პროექტის მენეჯერები.
    - შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ განსახორიცელებელი პროექტების ფარგლებში, საჭიროა ტრაქტორების და სხვა სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტის შემკეთებელი/მძღოლი, ასევე გარემოს დაცვის სპეციალისტები;
- გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტულ და დეფიციტური კადრებით გამორჩეულ პროფესიებს წარმოადგენს სპეციალისტები შემდეგი მიმართულებით:
    - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (Environmental Protection Technology);
    - ელექტროტექნიკა და სამრეწველო ელექტრონიკა (Electrical Equipments and Industrial Electronics);
    - ჰაერის კონდიცირება (Air Conditioning);
    - წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (Integrated Water Resources Management);
    - ჰაერის დაბინძურების მართვა და კონტროლი (Air Pollution Management and Control);
    - გარემოსდაცვითი მენეჯმენტი/მართვა (Environmental Governance).

შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვა

ბოლო პერიოდში ქვეყანაში შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებულმა კვლევებმა შეისწავლეს დამსაქმებლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ. ამასთან, გამოავლინეს სირთულეები სამუშაო ძალის მოძიების მხრივ, პროფესიული ჯგუფების მიმართ, როგორც მაღალი, ასევე დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნით. დასაქმების სირთულეები განპირობებულია ერთი მხრივ სამუშაო ადგილების ნაკლებობით (განსაკუთრებით რეგიონებში), ხოლო მეორე მხრივ შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე კადრების ნაკლებობით. აღნიშნულს თან ახლავს შიდა და გარე ფაქტორებით განპირობებული გლობალური ტენდენციები. კერძოდ, გაზრდილი მიგრაციის შესაძლებლობები,

დემოგრაფიული ცვლილებები, სამუშაოს ორგანიზების ახლებური მოწყობა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

2022 წელს უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინეს დამსაქმებლებისა[2] და საზოგადოების[3] განწყობა პროფესიული განათლების მიმართ, რამაც კიდევ უფრო არგუმენტირებული გახადა არსებული გამოწვევები.

დამსაქმებელთა უმრავლესობა პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კომპანიის საქმიანობის, ასევე ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკის გაძლიერების მხრივ. მიუხედავად ასეთი პოზიტიური განწყობისა, საკმაოდ მოკრძალებულია დამსაქმებლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ხარისხი, რაც მათი მხრივ აიხსნება ინფორმაციის ნაკლებობით, ვიწრო სპეციალობის შემსწავლელი პროგრამების არარსებობით, პროფესიული განათლების ნაკლები პრესტიჟულობითა და კომპანიაში შესაბამისი ადამიანური რესურსის სიმწირით. კომპანიები ასევე თვლიან, რომ თანამშრომლობის ინიცირება პროფესიული სასწავლებლებისგან უნდა მოდიოდეს და უკავშირდებოდეს პროგრამებსა და სხვადასხვა შესაძლებლობებზე მათ ინფორმირებას. დამსაქმებლების შეფასებით პროფესიული განათლება მეტნაკლებად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა ამავდროულად მიაჩნიათ, რომ იგი არის პროფესიის სწრაფად დაუფლებისა და დასაქმების შესაძლებლობა. დამსაქმებელებმა დადებითად შეაფასეს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ფინანსური და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ამასთან, მათ გამოკვეთეს ის გამოწვევები, რაც უკავშირდება ახალგაზრდების მიერ პროფესიული განათლების არჩევას და სამუშაოს დაწყების სურვილს. გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ისინი ვინც არჩევანს პროფესიულ განათლებაზე აკეთებენ, მათ ნაკლებად აქვთ გააზრებული პროფესიები და დასაქმების შესაძლებლობები. ხშირად პროფესიის არჩევა არ უკავშირდება საკუთარ ინტერესებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ არ თანხმდებიან შემოთავაზებულ სამსახურს. დაბალი მოტივაცია შესაძლოა უკავშირდებოდეს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ მოლოდინებს. დაბალ ანაზღაურებასთან ერთად კადრების მოძიების პრობლემა დაკავშირებულია ქვეყნიდან სამუშაო ძალის გადინებასთან.

კვლევამ აჩვენა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ნაკლებად სახელდება პროფესიული განათლება და დამსაქმებლები უთითებენ უმაღლეს განათლებას იმ

[2] ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“ (2022), „პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა“

[3] ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“ (2022), „პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა“

პოზიციებზე, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს. აღნიშნული საკმაოდ ამცირებს პროფესიული განათლების პოპულარობას.

დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს პროფესიული განათლების რეფორმა და დასძინეს, რომ აუცილებელია პროგრამების დახვეწა დამსაქმებლებთან უფრო აქტიური თანამშრომლობით, რათა პროგრამები პასუხობდნენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რეფორმის პროცესში საჭიროა პროფესიული სასწავლებლების მხრიდან სკოლებთან მეტი კომუნიკაცია, რათა სკოლის მოსწავლეები წარმოადგენდნენ მთავარ სამიზნე ჯგუფს და ამაღლდეს მათი ცოდნა პროფესიულ სასწავლებლებსა და პროგრამებზე, ამავდროულად დაშვებისა და დაფინანსების პირობებზე.

დამსაქმებლებმა ერთ-ერთ მთავარ საკითხად დაასახელეს პროფესიული პროგრამების სტანდარტიზაცია, რაც გულისხმობს პროფესიული სასწავლებლების მხრიდან მსგავს პროგრამებზე დაახლოებით ერთნაირი სასწავლო მოდულის შემუშავებას[4].

რაც შეეხება, 2022 წელს უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევას, საყურადღებოა, რომ კვლევის თანახმად, საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევანს უმაღლეს განათლებაზე აკეთებს. თუმცა, დამსაქმებლების მსგავსად მიაჩნიათ, რომ პროფესიული განათლება აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში უმუშევრობის შესამცირებლად. იგი უნდა გახდეს პრიორიტეტული მიმართულება, რისთვისაც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად.

საზოგადოების ცნობიერებაში პროფესიული განათლება კარიერასთან ნაკლებადაა ასოცირებული და ძირითადად უკავშირდება უმაღლეს განათლებას. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლებითაც შესაძლებელია ადამიანებს ჰქონდეთ წარმატებული ცხოვრება. საზოგადოების ცნობიერებაში პროფესიული განათლების მიმართ კარიერული საფეხურის არარსებობა ძირითადად განაპირობებს უმაღლესი განთლების არჩევანს. ამას თან ახლავს ისიც, რომ პროფესიული განათლება ნაკლებად აღიქმება, როგორც მაღალანაზღაურებადი სამუშაოს გარანტორი.

საზოგადოების უმრავლესობისათვის პროფესიული განათლება ასოცირდება კონკრეტული სპეციალობისა და ხელობის დაუფლებასთან, რომელიც უმოკლესი გზაა დასაქმებისათვის. თუმცა ასევე გამოიკვეთა, რომ დაბალია ინფორმირებულობა პროფესიულ სასწავლებლებში მიღების პროცედურებზე, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისათვის არსებულ შეღავათებზე, მომზადება-გადამზადების პროგრამებსა და მიღებული სერტიფიკატების სახელმწიფოს მიერ

[4] ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“ (2022), „პროფესიული განათლებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა“

აღიარების თაობაზე. დაბალია ცნობიერება პროფესიული განათლების კუთხით შექმნილი ვებ-გვერდების (mes.gov.ge; vet.ge; vet.emis.ge) მიმართ და მათი გამოყენების ხარისხი.

უმაღლეს განათლებასთან შედარებით პროფესიული განათლების მიღება აღიქმება ფინანსურად ხელმისაწვდომად, რაც ზრდის საზოგადოების ინტერესს. თუმცა, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება მეტად პრიორიტეტულად ითვლება, რადგან პროფესიული განათლება ნაკლებად ასოცირდება როგორც პრესტიჟულ, ასევე ხარისხიან განათლებასთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პოპულარული სასწავლო მიმართულებები, რაც იძლევა ადვილად დასაქმების შესაძლებლობებს, რომელთაგან აღსანიშნავია: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბუღალტერია, გრაფიკული დიზაინი, ტრაქტორისტი, მშენებელი, აგრონომი, მებაღე, მზარეული, სტილისტი, ფარმაცია[5].

2020-2021 წლებში სამოქალაქო საზოგადოების მიერ შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებულმა კვლევებმა[6] შეისწავლეს შრომის ბაზრის საჭიროებები, დასაქმების მიმართ ბარიერები, პოტენციური და არსებული სამუშაო ადგილები შერჩეული რეგიონების მიხედვით. კვლევები ასევე შეეხო ახალგაზრდების დამოკიდებულებას პროფესიულ განათლებასა და მოწყვლადი ჯგუფის ახალგაზრდების საჭიროებებს.

სამუშაოს მაძიებელთა შორის, დასაქმების ბარიერების[7] შესწავლის პროცესში გამოიკვეთა დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები გურიის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. კვლევა მოიცავდა სამ რეგიონს, თუმცა სამუშაოს ძიებასთან დაკავშირებული ბარიერები თითქმის იდენტურია სამივე რეგიონში. ბარიერებს შორის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს:

- სამუშაო გამოცდილების სიმწირე;
- ცოდნისა და უნარების გაღრმავების შესაძლებლობების არარსებობა;
- ინგლისური ენის არცოდნა, რასაც ქვემო ქართლში თან ახლავს ქართული ენის არცოდნა;
- სამუშაო ადგილების სიმწირე;
- დაბალი ანაზღაურება;

[5] ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“ (2022), „პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა“

[6] 2021 წელს ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის (Financial Agreement Sector Reform Performance Contract) ფარგლებში დაფინანსებული კვლევები

[7] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, „დასაქმების აღქმული ბარიერების კვლევა სამუშაოს მაძიებელთა შორის“

კვლევამ ცხადყო, რომ სამივე რეგიონში დამსაქმებლები უმეტესწილად ორიენტირებულები არიან სამუშაო გამოცდილების მოთხოვნაზე. მოთხოვნა ძირითადად ეხება გამოცდილ კადრებს და ხოლო ახალგაზრდების დასაქმების მხრივ ინტერესი ნაკლებია. ასევე გამოწვევაა სტაჟირების გავლის შესაძლებლობა, რაც უმრავლეს შემთხვევაში არ ანაზღაურდება. დამსაქმებლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფოკუსირებულები არიან გამოცდილი კადრების აყვანაზე. თუმცა, ძალზედ მწირია მათი ჩართულობა საკუთარი თანამშრომლების ცოდნისა და უნარების გაღრმავების მხრივ, რაც ფინანსების დაზოგვით არის განპირობებული.

დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან, ზემოთ ხსენებულ რეგიონებში (გურია, ქვემო ქართლი და კახეთი) ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს უცხო ენის, კერძოდ კი ინგლისური ენის არცოდნა. რიგ შემთხვევაში დამსაქმებლები ითხოვენ ინგლისური ენის ცოდნას არა მხოლოდ მაღალი, არამედ დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნის მქონე პროფესიულ ჯგუფებზეც. მაგალითისათვის, დაცვის თანამშრომლების, დამლაგებლებისა და მიმტანების პოზიციებზე.

ყველა სამიზნე რეგიონში დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სამუშაო ადგილების სიმცირე, რაც განპირობებულია ამ რეგიონებში შედარებით დაბალი ეკონომიკური აქტივობით. სამუშაო ადგილები ძირითადად დაკავშირებულია ვაჭრობის, მომსახურების, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სექტორთან. კახეთში მოთხოვნადია მეღვინეობა, რაც რეგიონის თავისებურებით არის განპირობებული. მოთხოვნაა საცალო ვაჭრობის, სილამაზის სალონების, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მუშახელზე, რომელთა შრომა ძირითადად დაკავშირებულია დაბალ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ვაკანსიებია ასევე სპეციალისტებისა და ტექნიკოსების პროფესიულ ჯგუფზე, რომელთაგან აღსანიშნავია იურისტები, პროგრამისტები, ბუღალტრები, პედაგოგები (ფილოლოგი), ვეტერინარები და ღვინის ტექნიკოსები. ამის პარალელურად დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს შემოთავაზებული დაბალი ანაზღაურება, რაც ერთის მხრივ უბიძგებს ადამიანს, რომ შეინარჩუნოს უმუშევრის ან სამუშაო ძალის გარეთ მყოფი პირის სტატუსი. მეორეს მხრივ აღნიშნული განაპირობებს შრომით მიგრაციას.

კვლევის თანახმად, სამუშაოს მაძიებლებს მიაჩნიათ, რომ დამსაქმებლები კადრების მოსაძიებლად ძირითადად იყენებენ სანაცნობო წრეებს და ძალზეც მცირეა ფორმალური გზებით ან/და ონლაინ ვაკანსიებით სამუშაოს მოძიების შესაძლებლობა.

დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ადრეულ, სკოლის ასაკში კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის არარსებობა, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს პროფესიის არჩევასა და კარიერის დაგეგმვაში. ახალგაზრდებს არა აქვთ სათანადო ინფორმაცია პროფესიებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის შესახებ.

მათი არჩევანი ეფუძნება უმრავლეს შემთხვევაში პოპულარულ, თუმცა მცდარ შეხედულებებს პროფესიების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მზარდია დადებითი დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ, ახალგაზრდების და მათი მშობლების უმრავლესობა მაინც პრიორიტეტულად უმაღლეს განათლებას მიიჩნევს.

ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევამ[8] სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შეისწავლა გურიის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, მიმდინარე და მოკლევადიან (2-3 წელი) პერიოდში, კადრებზე შესაძლო მოთხოვნა და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის დამკვიდრებული პრაქტიკა.

უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ყველა სამიზნე რეგიონში მოთხოვნის კომპონენტი გამოიკვეთა სპეციალისტების, მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებულ პირებზე, დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე. გურიაში ყველაზე მოთხოვნადია შემდეგი სამი პროფესიული ჯგუფი: მარკეტინგის მენეჯერი, გამყიდველ კონსულტანტი და ფარმაცევტი. კახეთში: გამყიდველ-კონსულტანტი, ბუღალტერი და მუშა. ქვემო ქართლში: სოციალური მედიის მენეჯერი და ბუღალტერი.

კვლევის თანახმად, დამსაქმებლები კადრების მოძიების მხრივ პრობლემებს აწყდებიან პროფესიულ ჯგუფებზე როგორც მაღალი, ასევე დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნით. გურიაში პრობლემურია შემდეგ პროფესიულ ჯგუფებზე კადრების მოძიება: მუშა, გამყიდველ-კონსულტანტი, ფარმაცევტი, მცხობელი, შემდუღებელი, ელექტრიკოსი, აგრონომი. კახეთში: მუშა, გამყიდველ-კონსულტანტი, აგრონომი, მცხობელი, ელექტრიკოსი, ინჟინერი, იურისტი, IT-სპეციალისტი. ქვემო ქართლში: გამყიდველ-კონსულტანტი, შემდუღებელი, სატვირთო ავტომობილების მძღოლები (საერთაშორისო გადაზიდვები), სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.

სამივე რეგიონში ორგანიზაციების საკმაოდ მცირე ნაწილი (გურია - 17%, კახეთი - 12%, ქვემო ქართლი - 5%) თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და თანამშროლობა ძირითადად შემოიფარგლება სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზებით. პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ამგვარი მიდგომა აიხსნება იმ გარემოებით, რომ კომპანიები ვერ ხედავენ თანამშრომლობის შედეგად სარგებლის მიღებას. კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში საკმაოდ დიდია კომპანიების ხვედრითი წილი, რომლებსაც არ სმენიათ მსგავსი შესაძლებლობის შესახებ, რაც საჭიროებს ამ მხრივ მათი ცნობიერების ამაღლებას.

[8] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, „ადგილობრივის შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა“

2021 წელს აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში ჩატარდა კვლევა[9], რომლის მიხედვითაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შესწავლილი იქნა პროფესიულ ჯგუფებზე დარგობრივი საჭიროებები, კადრების აყვანასთან დაკავშირებული სირთულეები და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა.

კვლევამ ცხადყო, რომ მოთხოვნა ძირითადად ეხება დაბალი და საშუალო რგოლის პოზიციებს და თითოეული სექტორისათვის მნიშვნელოვანია დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ტექნიკური უნარების ცოდნა. ვაკანსიები ძირითადად გამოვლინდა შემდეგ პოზიციებზე: მკერავის, მძღოლის, ტექნოლოგის (სპირტი, ლუდი, ჩაი), მცხობელის, დანადგარების ოპერატორის, ფინანსისტისა და ბუღალტრის პოზიციებზე.

კვლევის თანახმად, დამამუშავებელი მრეწველობიდან მოთხოვნაა: კვების ტექნოლოგებზე, მკერავებზე, დურგლებზე, დანადგარების ოპერატორებსა და ელექტრიკოსებზე. საკმაოდ მრავალფეროვანია მოთხოვნა სოფლის მეურნეობაში აგრონომებზე: კენკროვანი ხილის, მეყვავილეობის, მევენახეობის, მეთხილეობისა და სასათბურე კულტურების მხრივ. მოთხოვნადია: ვეტერინარები, ნიადაგმცოდნეები, მიკრობიოლოგები, იქთიოლოგიები, ლაბორატორიის (ნიადაგის, მეფუტკრეობის, თევზის და სხვა ქვედარგებში) სპეციალისტები, ჩაის ტექნოლოგები, მეღვინეები და სომელიეები. დამწყების კვალიფიკაციის მუშახელის კუთხით, აღსანიშნავია ვაკანსიები ჩაისა და თხილის შემგროვებლებზე.

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებიდან მოთხოვნაა: დამლაგებლებზე, მიმტანებზე, ადმინისტრატორებსა და ბარმენებზე.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან მოთხოვნა უკავშირდება: ვებ დიზაინერებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერებსა და ქსელის სპეციალისტებს.

ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე მომსახურების საქმიანობებიდან მოთხოვნადია: ტურ ოპერატორები და გიდები.

კომპანიების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ განსხვავდება მათი ზომისა და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე. მსხვილი კომპანიები გამოირჩევიან სამუშაო ძალის მრავალფეროვნებით და მათი მოთხოვნაც ძირითადად უკავშირდება პროფესიულ ჯგუფებს მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნით, რომლებიც ფლობენ ტექნიკურ უნარებს. აქედან გამომდინარე, მსხვილი კომპანიების

[9] ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი, „კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“

დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ უფრო პოზიტიურია, მცირე ზომის კომპანიებთან შედარებით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რეგიონებში არ იქმნება სათანადო რაოდენობის სამუშაო ადგილები, რაც კიდევ უფრო ართულებს პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს კონკრეტული პროგრამების შემუშავების კუთხით.

პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის სისუსტე განპირობებულია, როგორც ბიზნეს სექტორის დაბალი ინტერესით, ასევე პროფესიული კოლეჯების პასიურობით უზრუნველყონ ბიზნეს სექტორის ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში, გაითვალისწინონ მათი საჭიროებები და შრომის ბაზრის ტენდენციები. ბიზნეს სექტორის შეფასებით, სასწავლო პროგრამები ხშირ შემთხვევაში მხარს ვერ უბამს დარგის განვითარების ტემპებს, რაც აფერხებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. პროგრამები არ არის მოქნილი და მათი ბიზნესის საჭიროებაზე ადაპტირება რთულია, რადგან პროგრამებში ცვლილებების შეტანა მოითხოვს დამატებით დროსა და ხარჯებს.

კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან პოპულარულია მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები, რაც ზრდის თვითდასაქმების შესაძლებლობებს. ასე მაგალითად, დიდია ინტერესი მასაჟისტის, მკერავის, სტილისტის, დურგლისა და ელექტრიკოსის პროგრამებზე.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ვაკანტურ ადგილებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვა რაც განპირობებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით. დამსაქმებლები საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ კვალიფიციური კადრების მოძიებას. ამას თან ახლავს სუსტი კომუნიკაცია პროფესიულ სასწავლებლებთან და კომპანიების ნიჰილისტური დამოკიდებულება სამუშაო ძალის გადამზადებაზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია უცხოეთში სამუშაო ძალის მიგრაცია, რაც კიდევ უფრო ზრდის თითქმის ყველა დონეზე სამუშაო ძალის დეფიციტს.

HR.GE-ზე 2021 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა

2021 წელს წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა (66%) დასაქმების კერძო სააგენტოს HR.GE-ზე ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა და დაახლოებით 70 000 შეადგინა. ზრდა შეეხო ყველა ძირითად პროფესიულ ჯგუფს და გამოქვეყნებული ვაკანსიების სტრუქტურა თითქმის შენარჩუნდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 27 HR.ge-ზე 2020-2021 წლებში გამოქვეყნებული ვაკანსიების შედარება



2021 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით წამყვანი ადგილი უკავიათ ტექნიკოსებისა (23%) და მომსახურების (23%) სფეროს პერსონალს. მათ მოჰყვებათ ვაკანსიები სპეციალისტებისა და ოფისის პერსონალზე. ვაკანსიებში თითქმის თანაბარზომიერი ადგილი უკავიათ მომსახურების პერსონალისა (19%) და სპეციალისტების (14%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებს. თითქმის თანაბარზომიერად არიან წარმოდგენილები დამწყები კვალიფიკაციის (7%), ხელოსნებისა (6%) და სამრეწველო დანადგარების ოპერატორების (6%) ძირითადი პროფესიული ჯგუფები.

2021 წელს წინა წელთან შედარებით ვაკანსიების რაოდენობაში მცირედმა ცვლილებამ განაპირობა ზოგიერთ ახლოს მდგარ ძირითად პროფესიულ ჯგუფში ადგილმონაცვლეობა.

დიაგრამა 28 HR.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2021 წ)



ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე მოთხოვნა აერთიანებს ვაკანსიებს: ბიზნესის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ჯანდაცვის, სამეცნიერო და სამართლის დამხმარე სპეციალისტების კუთხით. მაღალია საკვალიფიკაციო მოთხოვნა ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფის ვაკანსიებზე. შესაბამისად, ვაკანსიებიც მოითხოვს სამუშაოს მაძიებლებისგან გამოცდილებასა და მაღალი დონის უნარებს. ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან ყველაზე დიდია მოხოვნა ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტებზე (74%), რომელთაგან აღსანიშნავია: კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები (53%), საკრედიტო და სესხის ოფიცრები (17%) და ოფისის ზედამხედველები (12%). აღნიშნული ქვეჯგუფიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა ასევე სადაზღვევო წარმომადგენლების (5%), უძრავი ქონების აგენტების (5%), შემსყიდველებისა (4%) და საბუღალტრო სფეროს სპეციალისტების (3%) ელემენტარული პროფესიული ჯგუფები.

საგულისხმოა, რომ მაღალია მოთხოვნა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსებზე (12%), რაც უკავშირდება კომპიუტერული ქსელის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირებასა და მხარდაჭერას.

ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტებიდან ძირითადი მოთხოვნა სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალზე (67%), სამედიცინო და პათოლოგიის ლაბორატორიის ტექნიკოსებსა (17%) და გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის სფეროს ინსპექტორებზე (9%) მოდის.

მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტებიდან მოთხოვნადია ის ელემენტარული პროფესიული ჯგუფები, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო მშენებლობას, წარმოებაში პროცესის კონტროლსა, ელექტრონული მოწყობილობების პროექტირებას, მოვლასა და რემონტს. სამოქალაქო მშენებლობის მიმართულებით მაღალია მოთხოვნა: მშენებლობის ზედამხედველებზე (35%), მშენებლობის ტექნიკოსებსა (14%) და მხაზველებზე (7%).

სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტებიდან მაღალია ინტერესი: შეფ-მზარეულებზე (54%), ინტერიერის დიზაინერებზე (32%) ფიტნეს ინსტრუქტორებსა (7%) და სპორტის მწვრთნელებზე (6%).

ცხრილი 1 ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები

3	ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
33	ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები	11761	74%
35	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები	1864	12%
32	ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები	1158	7%
31	მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტები	733	5%
34	სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები	458	3%
	სულ	**15974**	

31	მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
3123	მშენებლობის ზედამხედველები	253	35%
3139	პროცესის კონტროლის ტექნიკოსები (ოპერატორები), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	181	25%
3113	ელექტროტექნიკოსები	105	14%
3112	სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები	102	14%
3118	მხაზველები	52	7%
3111	ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები	32	4%
3117	სამთომოპოვებითი მრეწველობის და მეტალურგიის ტექნიკოსები	4	1%
3155	საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების ელექტროტექნიკოსები	3	0%

3154	საჰაერო მოძრაობის დისპეტჩერი	1	0%
	სულ	**733**	

32	**ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები**	**რაოდენობა**	**წილი**
3256	სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი	776	67%
3212	სამედიცინო და პათოლოგიის ლაბორატორიის ტექნიკოსები	201	17%
3257	გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის სფეროს ინსპექტორები და დამხმარეები	99	9%
3255	ფიზიოთერაპიის ტექნიკოსები და ასისტენტები	48	4%
3258	სასწრაფო დახმარების პერსონალი	30	3%
3254	ოპტიკოს-ოპტომეტრისტი	3	0%
3211	რენტგენოლოგიისა და თერაპიული აღჭურვილობის ტექნიკოსები	1	0%
	სულ	1158	

33	**ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები**	**რაოდენობა**	**წილი**
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	6190	53%
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	1978	17%
3341	ოფისის ზედამხედველები	1366	12%
3321	სადაზღვევო წარმომადგენლები	605	5%
3334	უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები	604	5%
3323	შემსყიდველები	524	4%
3313	საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები	392	3%
3335	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ბიზნეს მომსახურების აგენტი	43	0%
3342	სამართლებრივი სფეროს მდივნები	27	0%
3332	კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზატორები	23	0%
3324	სავაჭრო ბროკერები	8	0%
3343	ადმინისტრაციული და აღმასრულებელისფეროს მდივნები	1	0%
	სულ	11761	

34	**სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები**	**რაოდენობა**	**წილი**
3434	შეფ-მზარეულები	249	54%
3432	ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები	145	32%
3423	ფიტნეს და სპორტული დასვენების ინსტრუქტორები და სპორტული პროგრამის ხელმძღვანელები	31	7%
3422	სპორტის მწვრთნელები, ინსტრუქტორები და სპორტთან დაკავშირებული ოფიციალური პირები	27	6%
3435	ხელოვნებისა და კულტურის სფეროს სხვა დამხმარე სპეციალისტები	3	1%
3431	ფოტოგრაფები	2	0%
3433	გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები	1	0%

	სულ	458

35	**ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები**	**რაოდენობა**	**წილი**
3513	კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები	693	37%
3511	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები	622	33%
3512	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლების მხარდაჭერის ტექნიკოსები	496	27%
3521	რადიომაუწყებლობისა და აუდიოვიზუალის ტექნიკოსები	53	3%
	სულ	1864	

მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალზე (23%) საკმაოდ მაღალია ვაკანსიების წილი. ვაკანსიები ეხება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნაც ითვალისწინებს პროფესიულ და საშუალო განათლებას. ბიზნეს სექტორში ვაჭრობა გამოირჩევა დასაქმების მაღალი ხვედრითი წილით და შესაბამისად გაყიდვების სფეროს პერსონალზე დიდია მოთხოვნა. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმით, რომ ვაჭრობა ხშირ შემთხვევაში უკავშირდება დაბალპროდუქტიულ სამუშაოს, ხშირია კადრების გადინება და მუდამ აქტუალურია გაყიდვების სფეროს პერსონალზე კადრების მოძიება. აღნიშნული ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან დიდია მოთხოვნა: მაღაზიის გაყიდვების ასისტენტებზე, მოლარეებზე, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებზე, მზარეულებზე, მიმტანებზე, ბარმენებზე, შინამოსამსახურეებსა და პირადი მომსახურების სხვა პერსონალზე.

ცხრილი 2 ძირითადი ჯგუფი: მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი

5	**მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი**	**რაოდენობა**	**წილი**
52	გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები	8735	56%
51	პირადი მომსახურებების სფეროში დასაქმებული პირები	4603	29%
54	მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები	2308	15%
53	ინდივიდუალური მომვლელები	89	1%
	სულ	**15735**	

51	**პირადი მომსახურებების სპეციალისტები**	**რაოდენობა**	**წილი**
5120	მზარეულები	1402	30%
5131	მიმტანები	1282	28%
5132	ბარმენები	748	16%

5152	შინამოსამსახურეები	375	8%
5151	ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დალაგებისადა საოჯახო საქმეების ზედამხედველები	273	6%
5142	კოსმეტოლოგები და მონათესავე სფეროებში დასაქმებული პირები	214	5%
5141	სტილისტები	185	4%
5113	მოგზაურობის გიდები	88	2%
5165	სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები	22	0%
5112	ტრანსპორტის კონდუქტორები	12	0%
5111	ბორტგამცილებლები და სტიუარდები	2	0%
	სულ	4603	

52	**გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები**	**რაოდენობა**	**წილი**
5223	მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები	5980	68%
5230	მოლარეები და ბილეთების კონტროლიორები	2507	29%
5222	მაღაზიის ზედამხედველები	116	1%
5245	მომსახურების პუნქტების სპეციალისტები	101	1%
5249	სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი გაყიდვების სფეროს მუშაკები	29	0%
5242	გაყიდვების წარმომადგენლები	2	0%
	სულ	8735	

53	**ინდივიდუალური მომვლელები**	**რაოდენობა**	**წილი**
5311	ბავშვის მომვლელები	89	100%

54	**მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები**	**რაოდენობა**	**წილი**
5414	უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები	2295	99%
5411	მეხანძრეები	7	0%
5419	სხვა კატეგორიაში ჩაურთველი მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამახურების მუშაკები	6	0%
	სულ	2308	

სპეციალისტების ძირთადი პროფესიული ჯგუფიდან ტექნიკოსების მსგავსად მაღალია მოთხოვნა ბიზნესისა და ადმინისტრირების (39%), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (20%), ჯანდაცვის (14%), მეცნიერების (13%), განათლებისა (8%) და სამართლის (6%) სპეციალისტებზე. სპეციალისტების საკვალიფიკაციო მოთხოვნა უკავშირდება უმაღლეს განათლებას და მათი საქმიანობის სფერო მოიცავს კვლევებს, ანალიზს, სამეცნიერო ან შემოქმედებითი კონცეფციების გამოყენებას. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალისტების, პოზიციებზე ვაკანსიების სიმრავლე, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ვაკანსიები ეფუძნება მაღალპროდუქტიულ სამუშაოს.

ბიზნესისა და ადმინისტრირების ქვეჯგუფიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა: ბუღალტრები (46%), რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები (35%), ასევე ის ელემენტარული პროფესიული ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას.

დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მაღალი მოთხოვნა, რადგან სამუშაო ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიებს და არის მაღალანაზღაურებადი. აღნიშნული ქვეჯგუფიდან დიდია მოთხოვნა სხვადასხვა პროფილის პროგრამისტებზე და მონაცემთა ბაზის დიზაინერებზე.

ჯანდაცვის სფერო მთლიანობაში გამოირჩევა მოთხოვნის მრავალფეროვნებით, რაც მოიცავს ვაკანსიებს: სპეციალისტი ექთნების (30%), მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსების (22%), ფარმაცევტების (18%), სტომატოლოგებისა (11%) და მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსებზე (9%).

სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მოთხოვნა შეეხება განათლების სფეროს წარმომადგენლებს. კერძოდ, სხვადასხვა საფეხურისა და პროფილის მასწავლებლებს (8%).

სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტების ქვეჯგუფიდან ვაკანსიებია: იურისტის (43%), ჟურნალისტის (14%), მთარგმნელისა (8%) და ფსიქოლოგის (8%) პოზიციებზე.

ცხრილი 3 ძირითადი ჯგუფი: სპეციალისტები

2	სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
24	ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	5277	39%
25	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	2676	20%
22	ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები	1878	14%
21	მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები	1771	13%
23	განათლების სპეციალისტები	1014	8%
26	სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები	817	6%
	სულ	13433	

21	მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები	რაოდენობა	წილი
2166	გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები	521	29%
2153	ტელეკომუნიკაციების ინჟინრები	356	20%
2161	შენობის არქიტექტორები	196	11%
2142	სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები	192	11%
2144	ინჟინერ-მექანიკოსები	119	7%
2151	ინჟინერ-ელექტრიკოსები	97	5%
2149	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ინჟინერიის სპეციალისტები	95	5%

2146	სამთო-ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები	48	3%
2152	ელექტრონიკის ინჟინრები	34	2%
2113	ქიმიკოსები	32	2%
2133	გარემოს დაცვის სპეციალისტები	20	1%
2141	მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები	17	1%
2145	ინჟინერ-ქიმიკოსები	16	1%
2115	ინჟინერ-ელექტრიკოსები	10	1%
2114	გეოლოგები და გეოფიზიკოსები	8	0%
2163	პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები	5	0%
2120	მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები	4	0%
2111	ფიზიკოსები და ასტრონომები	1	0%
	სულ	1771	

22	**მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები**	**რაოდენობა**	**წილი**
2221	სპეციალისტი ექთნები	558	30%
2212	მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები	422	22%
2262	ფარმაცევტები	343	18%
2261	სტომატოლოგები	198	11%
2211	მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსები	166	9%
2264	ფიზიოთერაპევტები	102	5%
2250	ექიმი-ვეტერინარები	29	2%
2263	გარემოს, პროფესიული ჯანდაცვისა და ჰიგიენის სფეროს სპეციალისტები	27	1%
2265	დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	24	1%
2222	სპეციალისტი მეანები	6	0%
2226	აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები	3	0%
	სულ	1878	

23	**განათლების სპეციალისტები**	**რაოდენობა**	**წილი**
2353	უცხო ენის მასწავლებლები	227	22%
2330	საშუალო განათლების მასწავლებლები	225	22%
2342	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები	218	21%
2310	უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები	199	20%
2359	ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიუკუთვნებელი განათლების სპეციალისტები	141	14%
2355	ხელოვნების მასწავლებლები	2	0%
2356	ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლები	2	0%
	სულ	1014	

24	ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
2411	ბუღალტრები	2452	46%
2431	რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები	1843	35%
2423	პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტები	418	8%
2421	მართვისა და ორგანიზაციული ანალიტიკოსები	245	5%
2413	ფინანსური ანალიტიკოსები	243	5%
2432	საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტები	76	1%
	სულ	5277	

25	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
2512	პროგრამისტები	2041	76%
2519	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები	245	9%
2521	მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები	154	6%
2514	აპლიკაციების პროგრამისტები	150	6%
2529	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მონაცემთა ბაზისა და ქსელების სპეციალისტები	50	2%
2511	სისტემების ანალიტიკოსები	36	1%
	სულ	2676	

26	სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები	რაოდენობა	წილი
2611	იურისტები	349	43%
2642	ჟურნალისტები	111	14%
2643	მთარგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები	66	8%
2634	ფსიქოლოგები	64	8%
2621	არქივარიუსები და მუზეუმის კურატორები	44	5%
2632	სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე სფეროთასპეციალისტები	34	4%
2651	სახვითი ხელოვნების მხატვრები	32	4%
2659	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები	21	3%
2619	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი სამართლის სპეციალისტები	18	2%
2631	ეკონომისტები	16	2%
2641	მწერლები, პოეტები და სხვა ლიტერატორები	12	1%
2654	ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროთა რეჟისორები და პროდიუსერები	12	1%
2652	მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები	10	1%
2656	რადიოს, ტელევიზიისა და სხვა მედიასაშუალებების დიქტორები	10	1%
2622	ბიბლიოთეკარები და მონათესავე სფეროთა სპეციალისტები	7	1%

2655	მსახიობები	5	1%
2635	სოციალური სამუშაოებისა და კონსულტაციების სფეროს სპეციალისტები	3	0%
2653	მოცეკვავეები და ქორეოგრაფები	3	0%
	სულ	817	

ოფისის დამხმარე პერსონალიდან ვაკანსიები მრავლად არის ინფორმირების სფეროში დასაქმებულ პირებსა (78%) და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველ კლერკებზე (14%). აღნიშნულ ძირითად პროფესიულ ჯგუფში ვაკანსიები მრავალფეროვანია და საკვალიფიკაციო მოთხოვნა სხვა მახასიათებლებთან ერთად შესაძლოა უკავშირდებოდეს განათლების სამივე დონეს, უცხო ენების ცოდნასა და გამართულ კომუნიკაციას. ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით ვაკანსიები მრავლად არის: ბანკის მოლარეების, სატელეფონო ოპერატორების, მიმღების, საკონტაქტო ცენტრისა და ტრანსპორტირების კლერკებზე. ასევე მოთხოვნა: კურიერებზე, საბუღალტრო აღრიცხვის, მოგზაურობისა და სათამაშო ბიზნესში დასაქმებულ პერსონალზე.

ცხრილი 4 ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი

4	**ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები**	**რაოდენობა**	**წილი**
42	მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები	7369	78%
43	რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები	1361	14%
44	ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები	708	7%
41	ზოგადი და ტექსტის ამკრეფი კლერკები	46	0%
	სულ	9484	

41	**ზოგადი და ტექსტის ამკრეფი კლერკები**	**რაოდენობა**	**წილი**
4120	მდივნები (ზოგადი)	26	57%
4110	ოფისის ზოგადი კლერკები	20	43%
	სულ	46	

42	**მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები**	**რაოდენობა**	**წილი**
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები;	2351	32%
4223	სატელეფონო კომუტატორისს ოპერატორები	2216	30%
4226	მიმღებში მომუშავენი (ზოგადი)	1347	18%
4222	საკონტაქტო ცენტრის კლერკები	1106	15%
4221	მოგზაურობის კონსულტანტები და კლერკები	162	2%
4212	ტოტალიზატორის ოპერატორები (ბუკმეკერები), ბანქოს დამრიგებლები (კრუპიეები) დააზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები	143	2%

4227	გამოკვლევისა და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები	44	1%
	სულ	7369	

43	**რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები**	**რაოდენობა**	**წილი**
4323	ტრანსპორტირების კლერკი	1138	84%
4311	საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროსკლერკები	222	16%
4312	სტატისტიკის, საფინანსოდა სადაზღვევოსფეროსკლერკები	1	0%
	სულ	1361	

44	**ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები**	**რაოდენობა**	**წილი**
4412	კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები	545	77%
4415	საქმისმწარმოებელი და ასლების გადამღები კლერკები	147	21%
4416	პერსონალთან დაკავშირებული საკითხების კლერკები	16	2%
	სულ	708	

დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი ასრულებს ფიზიკურ სამუშაოს და ვაკანსიებზე უმთავრეს განმსაზღვრელ მოთხოვნას ფიზიკური შესაძლებლობები წარმოადგენს. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საკმაოდ რთულია დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის მოძიება, რაც განპირობებულია დაბალი შეთავაზებული ანაზღაურებით. აღნიშნული ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მოთხოვნაა დამლაგებლებზე, მტვირთავებზე, სამზარეულოს დამხმარე პერსონალსა და მანქანის მრეცხავებზე.

ცხრილი 5 ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი

9	**დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი**	**რაოდენობა**	**წილი**
91	მწმენდავები და დამხმარეები	2239	48%
93	სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები	1469	31%
94	სამზარეულოს დამხმარეები	932	20%
96	ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები	31	1%
92	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები	13	0%
	სულ	4684	

91	მწმენდავები და დამხმარეები	რაოდენობა	წილი
9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	1929	86%
9122	მანქანის მრეცხავები	264	12%
9123	ფანჯრების მრეცხავები	31	1%
9124	სხვა ტიპის მრეცხავები	15	1%
	სულ	2239	

92	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს მუშები	რაოდენობა	წილი
9216	მეთევზეობისა და წყლის კულტურების მუშები	13	100%

93	სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები	რაოდენობა	წილი
9333	მტვირთავები	1469	100%

94	სამზარეულოს დამხმარეები	რაოდენობა	წილი
9412	სამზარეულოში დამხმარეები	712	76%
9411	სწრაფი კვების კერძების მომმზადებლები	220	24%
	სულ	932	

96	ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები	რაოდენობა	წილი
9613	მეეზოვეები და მსგავსი დამწყები კვალიფიკაციის მუშები	31	100%

ხელოსნებსა და მონათესავე პროფესიების მუშაკებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ძირითადად ითვალისწინებს პროფესიულ განათლებას და ტექნიკური უნარების ფლობა არის განმსაზღვრელი სამუშაოს ჯეროვნად შესასრულებლად. ხელოსნების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან ვაკანსიების უმრავლესობა წარმოების სხვადასხვა სფეროს მუშაკებზე მოდის (39%), რომელთა ფუნქციასაც პროდუქციის წარმოება და დამუშავება წარმოადგენს. აღნიშნული ქვეჯგუფიდან ვაკანსიების უმეტესობა მოდის მცხობელის, მკერავისა და საკვები პროდუქციის გადამამუშავებლის პოზიციებზე.

ვაკანსიების მხრივ მრავალფეროვანია მოთხოვნა მშენებლობის სფეროს მუშებზე. ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის[10] შედეგად გამოვლენილი ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო

[10] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2019), „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“,

სექტორში დამსაქმებლები კადრებს ეძებენ ძირითადად პირადი კონტაქტების საშუალებით. შესაბამისად, რეალურად მშენებლობის სფეროს მუშებზე გაცილებით დიდია მოთხოვნა. გამოქვეყნებული ვაკანსიებიდან მოთხოვნადია: ხუროები, სახლის მშენებლები, ზეინკალ-სანტექნიკოსები, მღებავები და სხვა მშენებლობის პროფილის მუშები.

აღნიშნული ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მოთხოვნაა ავტოტრანსპორტის მექანიკოსებსა და შემდუღებლებზე, ასევე შენობების ელექტრიკოსებზე.

ცხრილი 6 ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7	ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	რაოდენობა	წილი
75	საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები, ხის დამმუშავებლები, მკერავები, სხვა ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	1658	39%
71	მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები	1047	25%
72	ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები	949	22%
74	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები	505	12%
73	ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები	89	2%
	სულ	4248	

71	მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები	რაოდენობა	წილი
7115	ხუროები და დურგლები;	305	29%
7119	მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.	264	25%
7111	სახლების მშენებლები;	216	21%
7126	ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები;	141	13%
7131	მღებავები და მონათესავე სფეროების მუშები;	69	7%
7114	ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე სფეროების მუშები;	21	2%
7127	ჰაერის კონდიცირების და გაგრილების სისტემების მექანიკოსები.	17	2%
7123	მებათქაშეები;	10	1%
7121	მხურავები;	4	0%
	სულ	1047	

72	ლითონგადამმუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები	რაოდენობა	წილი
7231	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები;	775	82%

http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=1cf1efe2-ade4-4ff9-a716-5299ead1b260

7212	შემდუღებლები და აირით მჭრელები	151	16%
7213	მვალცავები	23	2%
	სულ	949	

73	**ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები**	**რაოდენობა**	**წილი**
7319	ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.	67	75%
7316	პოსტერებისა და დეკორატიული ხატვის ოსტატები, გრავიორები და გრავერები;	13	15%
7322	მბეჭდავები;	6	7%
7313	საიუველირო და ძვირფასი ლითონის ნაკეთობების ხელოსნები;	3	3%
	სულ	89	

74	**ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები**	**რაოდენობა**	**წილი**
7411	შენობების და მონათესავე სფეროების ელექტრიკოსები;	430	85%
7412	ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსებიდა მონტიორები;	42	8%
7413	ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები და შემკეთებლები	33	7%
	სულ	505	

75	**საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები, ხის დამმუშავებლები, მკერავები, სხვა ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები**	**რაოდენობა**	**წილი**
7512	პურის მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები;	1227	74%
7533	მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები;	218	13%
7511	ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები;	138	8%
7515	საკვები პროდუქტების და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები;	71	4%
7516	თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები	4	0%
	სულ	1658	

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორების ძირითადი პროფესიულ ჯგუფზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა მოითხოვს პროფესიულ განათლებას, ასევე ზოგიერთი პროფესიული ჯგუფი საჭიროებს დამატებით ლიცენზიას (ტრაილერების მძღოლები) და სტაჟს პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად. ქვეყანაში სატვირთო გადაზიდვების ზრდის პარალელურად დიდია მოთხოვნა სატვირთო ავტომობილების მძღოლებზე. ქვეყანაში ტურისტული ნაკადების შემოდინება ზრდის მოთხოვნას შიდა გადაყვანებზე/გადაზიდვებზე და ვაკანსიებიც მრავლად არის მსუბუქი ავტომობილის მძღოლებზე. მძღოლებისა და მობილური დანადგარების

ოპერატორების ქვეჯგუფიდან მოთხოვნაა: ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორებზე, რაც ძირითადად უკავშირდება მშენებლობის, წარმოებისა და ლოგისტიკის სფეროს.

აღნიშნული ძირითადი ჯგუფიდან ვაკანსიები მრავლად არის მდგრადი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებზე, რომელთა შრომა უკავშირდება წარმოების ხაზთან მუშაობას (61%), ლითონისა (28%) და ქაღალდის (10%) დანადგარების ოპერირებას.

ვაკანსიები ასევე მრავლად არის ამწყობებზე (4%), რაც მოიცავს მექანიკური (62%) და ელექტრონული (38%) მოწყობილობების აწყობას.

ცხრილი 7 ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

8	**სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები**	**რაოდენობა**	**წილი**
83	მძღოლები და მობილური დანადგარების ოპერატორები	2863	68%
81	მდგრადი სამრეწველო დანადგარების და მანაქანების ოპერატორები	1183	28%
82	ამწყობები	151	4%
	სულ	4197	

81	**მდგრადი სამრეწველო დანადგარების და მანაქანების ოპერატორები**	**რაოდენობა**	**წილი**
8183	შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტირების მანქანების ოპერატორები	726	61%
8121	ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები	336	28%
8143	ქაღალდის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	115	10%
8160	საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	6	1%
	სულ	1183	

82	**ამწყობები**	**რაოდენობა**	**წილი**
8211	მექანიკური მანქანების ამწყობები	94	62%
8212	ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობის ამწყობები	57	38%
	სულ	151	

83	**მძღოლები და მობილური დანადგარების ოპერატორები**	**რაოდენობა**	**წილი**
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	2165	76%
8322	მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები	517	18%
8343	ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები	161	6%
8321	მოტოციკლების მძღოლები	19	1%

8341	სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები	1	0%
	სულ	2863	

გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით საკმაოდ მაღალია მოთხოვნა მენეჯერებზე, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაკავშირებულია უმაღლეს განათლებასთან და რომელიც ამავდროულად საჭიროებს მაღალი საფეხურის სოციალურ-ემოციური უნარების, გამოცდილებისა და უცხო ენების ფლობას. ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა: ფინანსური, რესტორნებისა და სასტუმროების, დამამუშავებელი მრეწველობისა და ადამიანური რესურსების მენეჯერები.

ცხრილი 8 ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები

1	**მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
12	ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები	944	55%
13	წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები	396	23%
14	სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები	303	18%
11	უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები	75	4%
	სულ	1718	

11	**უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები**	**რაოდენობა**	**წილი**
1120	მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენჯერები	75	100%

12	**ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
1219	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები	326	35%
1211	ფინანსური მენეჯერი	298	32%
1212	ადამიანური რესურსების მენეჯერები	209	22%
1213	პოლიტიკისა და დაგეგმვის მენჯერები	56	6%
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	55	6%
	სულ	944	

13	**წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
1321	დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერები	266	67%

1346	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურებების ფილიალის მენეჯერები	76	19%
1349	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროფესიული მომსახურების მენეჯერები	30	8%
1342	ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები	24	6%
	სულ	396	

14	**სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები**	**რაოდენობა**	**წილი**
1412	რესტორნის მენეჯერები	237	78%
1411	სასტუმროს მენეჯერები	66	22%
	სულ	303	

ბიზნეს სექტორში სოფლის მეურნეობას საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უკავია, რაც ასევე აისახება გამოქვეყნებული ვაკანსიების მხრივ. სოფლის მეურნეობის სექტორში ადამიანების უმრავლესობა შინამეურნეობებში არიან დასაქმებულები და მათ მიერ დამატებით მოხმარებული შრომა პირად კონტაქტებს ეფუძნება, რომლის გამოქვეყნებაც ძირითადში არ ხდება. გამოქვეყნებული ვაკანსიების მიხედვით მოთხოვნაა: მებაღეებზე, მემინდვრეებსა და მებოსტნეებზე, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების, ასევე რძისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლებზე.

ცხრილი 9 ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

6	**სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები**	**რაოდენობა**	**წილი**
61	ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები	166	98%
62	ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური პირები	4	2%
	სულ	170	

61	**ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები**	**რაოდენობა**	**წილი**
6113	მებაღეები; სანერგე მეურნეობის სპეციალისტები;	84	51%
6111	მემინდვრეები და მებოსტნეები;	32	19%
6112	ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მწარმოებლები;	20	12%
6121	რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები	18	11%
6122	მეფრინველეები	11	7%
6123	მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები	1	1%
	სულ	166	

62	**ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური პირები**	**რაოდენობა**	**წილი**
6210	მეტყევეები და მონათესავე სფეროებში დასაქმებული პირები	4	100%

2021 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი

2021 წლისთვის შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - WORKNET.GOV.GE რეგისტრირებულთა რიცხვმა 350,009 შეადგინა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებელი ითვალისწინებს არა მხოლოდ სამუშაოს მაძიებლებს, არამედ მათ ვინც სისტემაში რეგისტრაცია გაიარეს სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამებში ჩასართველად. აღნიშნულ წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 8,994 პირმა. მათგან ყველაზე დიდი წილი თბილისსა (23%) და იმერეთზე (23%) მოდის. თითქმის თანაბარზომიერია 2021 წელს სისტემაში რეგისტრირებულთა წილი სამეგრელო-ზემო სვანეთის (9%), შიდა ქართლის(8%), ქვემო ქართლის (8%) და კახეთის (8%) რეგიონებისათვის.

დიაგრამა 29 2021 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულთა რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით



2021 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში 875 დამსაქმებლის მიერ დარეგისტრირდა 11,414 ვაკანსია, რაც საშუალოდ ერთ დამსაქმებელზე 13 ვაკანსიას შეადგენს.

2021 წელს წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სისტემაში შემოსული ვაკანსიების რაოდენობა, რაც მეტყველებს პანდემიის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის ზრდის პარალელურად ვაკანსიების ზრდაზე.

დიაგრამა 30 შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში შესული ვაკანსიები და პროცენტული ცვლილება



დიაგრამა 31 სისტემაში შემოსული ვაკანსიები რეგიონების მიხედვით (2021)



დიაგრამა 32 სისტემაში შემოსული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (2021)



დიაგრამა 33 სისტემაში შემოსულ ვაკანსიებზე მოთხოვნილი განათლების დონეები (2021)



2021 წელს სისტემაში შემოსული ვაკანსიებიდან ლიდერობენ თბილისი (60%) და იმერეთი (13%). თითქმის თანაბრად არის განაწილებული ვაკანსიები კახეთის და მცხეთა-თიანეთის, ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებზე. აჭარაში ვაკანსიების

სიმცირე აიხსნება იმით, რომ ვაკანსიების უმრავლესობა თავს იყრის რეგიონის დასაქმების სააგენტოებში.

2021 წელს სისტემაში შემოსული ვაკანსიების უმრავლესობა განეკუთვნებოდა: მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს (39%), დამწყები კვალიფიკაციის (26%), ხელოსნებისა (21%) და სამრეწველო დანადგარების ოპერატორების (6%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებს. შესაბამისად, ვაკანსიების უმრავლესობაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებდა საშუალო (46%) და პროფესიულ (42%) განათლებას და საკმაოდ მცირეა უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის მქონე ვაკანსიების (6%) ხვედრითი წილი. ძირითადი პროფესიული ჯგუფების მსგავსად სისტემაში შემოსული ვაკანსიების მხრივ ლიდერობენ: ვაჭრობის (31%), სხვა სახის მომსახურების (18%), ტურიზმისა (15%) და მშენებლობის (9%) სექტორები.

დიაგრამა 34 სისტემაში შემოსული ვაკანსიები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით (2021)



2021 წელს სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული პროგრამებისა და სერვისების ფარგლებში დასაქმდა 3812 სამუშაოს მაძიებელი და მათგან მაღალია ქალების (68%) ხვედრითი წილი. მოცემულ წელს ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმდა მომზადება-გადამზადების, კონსულტირებისა და საშუამავლო მომსახურების შედეგად.

დიაგრამა 35 დასაქმებულთა განაწილება პროგრამებისა და სერვისების მიხედვით (2021)



დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში, ერთი მხრივ, ქვეყანაში სამუშაო ძალის არსებული სტრუქტურისა და ტენდენციების შეფასებით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი/მიმდინარე რეფორმების გაანალიზებით, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნა:

- ქვეყანაში შრომის ბაზრის წინაშე არსებული გამოწვევებიდან მნიშვნელოვანია უმუშევრობის მაღალი დონე (განსაკუთრებით ახალგაზრდებში);
- საყურადღებოა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რომელიც მრავალი მიზეზით არის განპირობებული. მათგან ერთ ერთი მთავარი გაზრდილი მიგრაციის უარყოფითი სალდოა;
- მზარდია დასაქმებისა და საშუალოთვიური შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები ბიზნეს სექტორში. წინა წელთან შედარებით თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებლები;
- ასევე პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება შრომის ბაზარზე მოთხოვნის კომპონენტის მიმართულებით, რაზეც დასაქმების კერძო სააგენტოებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა მიუთითებს.

როგორც წინამდებარე ანგარიშში აღინიშნა, საქართველოს შრომის ბაზარზე დასაქმების მთავარი წყარო ბიზნეს სექტორია. სხვადასხვა სექტორში დაგეგმილი პროექტებისა და განსახორციელებელი სამუშაოების, ასევე მოსალოდნელი ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელია გამოიყოს ის მიმართულებები და პროფესიები, რომლებზეც უახლოებს მომავალში გაზრდილი მოთხოვნაა მოსალოდნელი:

- **ენერგეტიკის სექტორში** დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და მიღებული კანონმდებლობის შედეგად, მოთხოვნა წარმოიშობა შემდეგ პროფესიებზე:
    - ენერგომენეჯერი/ ენერგომენეჯმენტი განმახორციელებელი პირი (ფიზიკური ან იურიდიული პირი);
    - ენერგომომსახურების მიმწოდებელი (საბოლოო მომხმარებლისთვის ან ენერგომომსახურების მიმღების საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული ობიექტისთვის ენერგომომსახურების ან ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი სხვა ღონისძიებების მიმწოდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი);

- სერტიფიცირებული ენერგოაუდიტორი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელსაც აკრედიტირებული ორგანო მიანიჭებს სერტიფიკატს როგორც მრეწველობის სექტორში ასევე, შენობების სექტორში;
- სპეციალისტები აღრიცხვის ჭკვიანი სისტემის დანერგვისთვის;
- შენობების ენერგოფექტურობის სერტიფიცირების განმახორციელებელი პირი;
- შენობაში გათბობის ან/და გაგრილების და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტორი (სერტიფიცირებული დამოუკიდებელი ექსპერტი);
- პირი რომელიც კომპეტენტური იქნება ენერგოეფექტურობის მოთხოვნების მიხედვით შენობების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების სწორი შერჩევის, მონტაჟის, რეგულირებისა და მართვის საკითებში;
- მონიტორინგის განმახორციელებელი პირები:
- დამოუკიდებელი ექსპერტისა და ენერგოაუდიტორის საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებლები;
- ენერგოდანაზოგების მონიტორინგისა და ვერიფიკაციის განმახორციელებლები;

- **განახლებადი ენერგიის** კუთხით:
  - მცირემასშტაბიანი ბიომასის ბოილერებისა და ღუმლების მემონტაჟე,
  - მზის ფოტოელექტრული სისტემების მემონტაჟე,
  - მზის თერმული სისტემების მემონტაჟე,
  - ზედაპირული გეოთერმული სისტემებისა და თბური ტუმბოების მემონტაჟე;
- საქართველოში დაგეგმილი **მზისა და ქარის ელექტროსადგურების** განვითარების გეგმის ფარგლებში მშენებლობისა და შემდგომ, ექსპლუატაციის პროცესში განსაკუთრებული მოთხოვნა წარმოიშვება ტექნიკურ პერსონალზე;
- **ენერგეტიკული ბირჟის** განვითარების პარალელურად, სავარაუდოდ მოიმატებს მოთხოვნა სავაჭრო წარმომადგენლებზე (ე. წ. "ტრეიდერები");
- წყალმომარაგების ნაწილში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და მოსალოდნელი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, პროფესია რომელზე მოთხოვნაც შესაძლოა წარმოიშვას საშუალო ვადიან პერიოდში, არის სკადას (SCADA - ზედამხედველობის კონტროლისა და მონაცემთა შეგროვება) ოპერატორი;
- **კავშირგაბმულობის სექტორში** ,,საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული სტრატეგიის აქტივობების

განხორციელების პარალელურად წარმოიშვება ისეთ არსებულ ან ახალ პროფესიებზე მოთხოვნის ზრდა, როგორცაა ICT (მაგ. ახალი თაობის, მათ შორის 5G ქსელების ინჟინერი/პროგრამისტი, მონაცემთა ცენტების ინჟინერი/პროგრამისტი, AI პროგრამისტი და სხვა);

- **ტრანსპორტირებისა და დასაწყობების** სექტორში, დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შემთხვევაში არსებულ ბაზარზე გაიზრდება მოთხოვნა ისეთ პროფესიებზე, როგორებიცაა: ნავსადგურში მომუშავე პერსონალი, საზღვაო/ჰიდრო ინჟინერი, საზღვაო ეკონომიკის, ფინანსებისა და დაზღვევის სპეციალისტი, საზღვაო ბიზნესის მართვის სპეციალისტი, ჰიდროგრაფიის სპეციალისტი, მძღოლი (საავტომობილო გადაზიდვა/გადაყვანისა და სპეცტექნიკის მართვისათვის) და ლოგისტიკის სპეციალისტი;
- საავტომობილო გზების მიმართულებით განსახორციელებელი არაერთი მასშტაბური პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების **მშენებლობისა** თუ მართვისათვის საჭიროა ისეთი პროფესიები/სპეციალობები, როგორებიცაა: გზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობა, ელექტრო ინჟინერია (განათების სპეციალისტები), ავტომატიზებული და ინფორმაციული მართვის სისტემები, პროგრამირება და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, საგზაო უსაფრთხოება.
    - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური ფონდის მიერ დაგეგმილი და მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მოითხოვს ისეთ პროფესიებს/სპეციალობებს, როგორებიცაა: კვალიფიციური მშენებელი-ინჟინრები (გზებისა და სამოქალაქო მიმართულებით), არქიტექტორები, გათბობა-ვენტილაციის სპეციალისტები, ენერგოეფექტურობის ინჟინრები, შრომის უსაფრთხოების ინჟინრები და ინფრასტრუქტურული პროექტის მენეჯერები.
    - შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ განსახორიცელებელი პროექტების ფარგლებში, საჭიროა ტრაქტორების და სხვა სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტის შემკეთებელი/მძღოლი, ასევე, გარემოს დაცვის სპეციალისტები;
- გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტულ და დეფიციტური კადრებით გამორჩეულ პროფესიებს წარმოადგენს სპეციალისტები შემდეგი მიმართულებით:
    - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (Environmental Protection Technology);
    - ელექტროტექნიკა და სამრეწველო ელექტრონიკა (Electrical Equipments and Industrial Electronics);
    - ჰაერის კონდიცირება (Air Conditioning);

- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (Integrated Water Resources Management);
- ჰაერის დაბინძურების მართვა და კონტროლი (Air Pollution Management and Control);
- გარემოსდაცვითი მენეჯმენტი/მართვა (Environmental Governance).

რეკომენდაციები

- დასაქმებისა და უმუშევრობის დონეების კვალიფიკაციების მიხედვით გადანაწილებისთვის შესაბამისი სტატისტიკის სრულყოფა;

- დასაქმების ეფექტიანი ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ საზოგადოების, მათ შორის კერძო სექტორის, ცნობიერების შემდგომი ამაღლება;

- კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის შემდგომი წახალისება სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის არსებული მასშტაბების გაზრდის მიზნით. ასევე, კერძო სექტორის ჩართულობის ამაღლება პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

- დასაქმების კერძო სააგენტოების ცნობიერების და ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა მათ მიერ წარმოებული ე. წ. „Big Data“-ს პროფესიული ჯგუფების საერთაშორისო სტანდარტთან (ISCO 2008) შესაბამისობაში წარმოების და ასევე, „უნიკალური“ ვაკანსიების სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.